"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„9" ივნისი 2013 წელი

ეგზ. N2

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 1/100
სსიპ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების
განმახორციელებელი ცენტრი
სამედიცინო დაწესებულებათა ოპტიმიზაციის პროგრამა
(01.09.04-01.01.07)
სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და
აღჭურვის პროგრამა
(01.01.07-01.01.10)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარჩევი

შესავალი----------გვ3
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები ----------გვ5
ძირითადი ტექსტი ----------გვ6
1.პროგრამების შესრულების მდგომარეობა----------გვ6
1.1 მიღებული სახსრების (მ.შ. სარეზერვო ფონდები, გრანტი) მიზნობრივი და კანონიერი გამოყენების მდგომარეობა----------გვ6
1.2 განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა შესყიდვების მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან----გვ15
1.3 პროგრამების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობა----------გვ19
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი----------გვ 27

შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 13 მაისის N55/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი". იურიდიული მისამართი: სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი". იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის 23. ტელ/ფაქსი (995 32) 395680.

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი: კახაბერ ძიმისტარიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი, გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან), აუდიტორები ანტონ პარუნაშვილი და ლალი სეხნიაშვილი.

აუდიტის ვადა - 13 მაისი – 26 ივნისი (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

საქართველოს კონტროლის პალატა - კონტროლის პალატა;

საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი - ფონდი;

საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის სამეთვალყურეო საბჭო - სამეთვალყურეო საბჭო;

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი - ცენტრი;

საქართველოს შრ ომის, ჯანმრთელობისა და სოც იალური დაც ვის სა მინისტრო - სამინისტრო;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - მინისტრი;

საქართველოს მთავრობა - მთავრობა;

სამედიცინო დაწესებულებათა ოპტიმიზაციის პროგრამა - ოპტიმიზაციის პროგრამა;

სამედიცინო და სამინისტროს დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამა - პროგრამა;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ფინანსთა მინისტრი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - საზინა;

პროგრამის მოკლე მიმოხილვა

2004-2006 წლებში სამედიცინო დაწესებულებათა ოპტიმიზაციის პროგრამას ახორციელებდა სსიპ - საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, რომელიც შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით[1]. პროგრამა დამტკიცებულია მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით[2].

2007 წლის 1 იანვრიდან, მინისტრის ბრძანებით[3] ცენტრი წარმოადგენს სსიპ - საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის უფლებამონაცვლეს.

რეორგანიზაციის პროცესში ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და სხვა საქმიანობის დოკუმენტაცია ცენტრს მიღება-ჩაბარების აქტით არ გადაეცა, რის გამოც ამ დოკუმენტაციის სისრულე არ არის უზრუნველყოფილი.

ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, სამოქმედო სახელმძღვანელოს დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა, ფონდის წლიური ბიუჯეტის პროექტების განხილვა, სამუშაო გეგმებისა და მათგან გამომდინარე ნებისმიერი ცვლილების დამტკიცება, წარმოადგენდა ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებს[4].

აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილი საბჭოს სხდომის რამდენიმე ოქმი არ ასახავს სრულად ზემოაღნიშნული საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაციას, რის გამოც აუდიტით ვერ დადგინდა აღჭურვასა და რეაბილიტაციას **დაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების ჩამონათვალი**, მათი შერჩევის კრიტერიუმები. ვერ იქნა მოპოვებული მტკიცებულებები საბჭოს სხდომის ოქმების სახით, პროგრამის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების, მისი მიმდინარეობის ანგარიშების განხილვებისა და სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე.

ასევე, ვერ იქნა წარმოდგენილი 2004 2006 წლის შესყიდვების გეგმები, რომლებიც უშუალო კავშირში უნდა ყოფილიყო დამტკიცებულ კომპონენტებთან და ბიუჯეტებთან თითოეული ცვლილების გათვალისწინებით. ყოველივე აღნიშნულმა, მიღებული სახსრების მიზნობრივად განკარგვის მდგომარეობის დადგენის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად შეზღუდა აუდიტის ჯგუფი და აუდიტის აქტში ძირითადად ასახულია დაზუსტებული ბიუჯეტების, გადახდების და დადებული ხელშეკრულებების პირობების შესრულების მდგომარეობა.

2007-2009 წლებში „სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამას" ახორციელებდა სსიპ - საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალურ ი დაცვის პრო ექტების განმახორციელებელი ცენტრი. პროგრამები დამტკიცებულია მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით[5].

---

[1] N350 (04.08.2000)

[2] N214/ნ (24.08.04); N62/ნ (02.03.05); N322/ნ (18.12.06)

[3] N330/ნ (29.12.06) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

[4] ფონდის დებულების მე-10 პუნქტი

[5] N40/ნ (07.02.07); N76/ნ (27.03.08); N178/ნ (15.05.09)

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. 2006 წლის ოპტიმიზაციის პროგრამა დამტკიცდა 2006 წლის 18 დეკემბერს. ამდენად, სხვადასხვა ღონისძიებებზე **42 676,5** ათასი ლარის ოდენობის ხარჯი გაწეულია სამართლებრივი საფუძვლების გარეშე----------გვ4;

2. არადანიშნულებით გახარჯულია **425,3** ათასი ლარი:

- 2005 წელს - საგრანტო ხელშეკრულებით მიღებული სახსრებიდან **250,7** ათასი ლარი;
- 2006 წელს - საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სახსრებიდან **174,6** ათასი ლარი----------გვ8;

3. 2007 წელს პროგრამით გაუთვალისწინებელ აქტივობებზე გაფორმდა 35 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით **18 053,6** ათასი ლარი. მათი ნაწილი შეწყდა, ხოლო ნაწილი დასრულდა მთავრობის სხდომის ოქმის საფუძველზე. სულ, 2007 წელს პროგრამით გაუთვალისწინებელ აქტივობებზე 21 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეულია **1 087,2** ათასი ლარის ხარჯი----------გვ12;

4. 2006 წლის 24 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შპს „ბლოკ-ჯორჯიას" სატენდერო წინადადების ფასი (**6 376,1** ათასი ლარი) **2 590,8** ათასი ლარით აღემატებოდა სხვა პრეტენდენტის ფასს (**3 785,3** ათასი ლარი). აღნიშნულ კომპანიაზე არჩევანის შეჩერებით სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა **2 590,8** ათასი ლარის ოდენობის პირდაპირი ზარალი----------გვ15;

5. 2004-2006 წლებსა და 2007 წლის ნოემბრამდე პერიოდში, მომწოდებლების მიერ ხელშეკრულებების პირობების დარღვევებთან დაკავშირებით არ ამოქმედებულა ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე არ მიმართულა **3 200,0** ათასი ლარი---გვ17;

6. 2005 წლიდან 2007 წლის ნოემბრამდე პერიოდში, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, ასევე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, სამართლებრივი საფუძვლების შედგენა-გაფორმების გარეშე გაწეული ხარჯი შეადგენს **8 400,0** ათას ლარს----------გვ17.

I. ძირითადი ტექსტი

1.პროგრამების შესრულების მდგომარეობა

1.1. ოპტიმიზაციის პროგრამა

ოპტიმიზაციის პროგრამის მიზნები და ამოცანები:

➢ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; პაციენტთა მომსახურების ხარისხისა და დონის ამაღლება; სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროსათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენება, რესტრუქტურიზაციის გზით ქვეყანაში არსებულ საავადმყოფოთა რაოდენობის, საწოლთა ფონდისა და სამედიცინო პერსონალის ჭარბი რაოდენობის შემცირება და მათი ოპტიმალურ რაოდენობამდე დაყვანა; სახელმწიფო სექტორში დარჩენილ საავადმყოფოთა რეაბილიტაცია და მათი თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვა; შემცირებული სამედიცინო პერსონალის საკომპენსაციო თანხების გადახდა; დარჩენილ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება[5];

➢ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და აღჭურვა; შერწყმისა და რეორგანიზაციის გზით საავადმყოფოთა ოპტიმიზაცია; ოპტიმიზაციის პროცესში მონაწილე სამედიცინო პერსონალის სოციალური დაცვის მექანიზმების განხორციელება; საავადმყოფოთა ჭარბი ქონების საპრივატიზაციოდ მომზადება; საავადმყოფოთა შენობების რეაბილიტაცია და მათი თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვა[7];

➢ მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაზრდა. სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, სამედიცინო დანიშნულების საგნებითა და აპარატურით აღჭურვა, დაწესებულებების ავეჯითა და ინვენტარით მომარაგება, მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო აპარატურაზე სამონტაჟო, სარემონტო და საინჟინრო მომსახურების შესყიდვა ქვეყანაში მიმდინარე პირველადი და სტაციონარული მომსახურების რეფორმის ხელშეწყობა[8].

1.1.1. მიღებული სახსრების (მ.შ. სარეზერვო ფონდები, გრანტი) მიზნობრივი და კანონიერი გამოყენების მდგომარეობა

[5] 2004 წელი;
[7] 2005 წელი
[8] 2006 წელი

ოპტიმიზაციის პროგრამის ბიუჯეტები და გადახდები წლების მიხედვით:

ბიუჯეტი		ათასი ლარი	
პროგრამა	დამტკიცებული	დაზუსტებული	გადახდა
2004	2 636,4	4 124,6	4 112,5
2005	25 469,3	26 112,2	26 112,2
2006	42 676,5	42 676,5	42 676,5

ცხრილიდან ჩანს, რომ პროგრამის ბიუჯეტი ყოველი მომდევნო წლისათვის მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებითაც, რომ მომდევნო წლებში ფინანსდებოდა წინა წელს დადებული და გარდამავალი ხელშეკრულებები. ანალოგიური მდგომარეობა იყო 2007–2009 წლებშიც, მხოლოდ კლების ტენდენციით. წინა წლებ ის ხელშეკრულებების დ აფინანსების პ იკი მ ოდის 20 06–2007 წლებზე. 2007 წლის ბოლოსათვის კი, ცენტრში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შემდგომ, გადაიხედა მიმდინარე ხელშეკრულებების ფინანსური მდგომარეობა და პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებთან მათი შესაბამისობა. რამდენიმე ხელშეკრულება შეწყდა.

აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი არ იყო მრავალწლიანი და მათი მოქმედების ვადები იწურებოდა გაფორმების წელს (იხ. აქტის 1.2 ნაწილში).

ოპტიმიზაციის პროგრამის ბიუჯეტების შეფარდება წლების მიხედვით:



2004 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე, უშუალოდ ფონდის მიერ გაწეული ხარჯი შეადგენს 60,9 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში ძირითადი შესყიდვები და წინასწარი გადახდები განახორციელა სამინისტრომ. გაწეული ხარჯების ფონდის ბალანსზე ასახვისა და დადებული ხელშეკრულებების შესრულების ვალდებულება ფონდს გადაეცა მინისტრის ბრძანებით[9], რამაც გაზარდა როგორც ბიუჯეტის პარამეტრები, ასევე გადახდის მონაცემი.

2004 წელს პროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები და წინასწარი გადახდები:

2004 წელი, ათ. ლარი

ხელშეკრულების საგანი	რაოდენობა	ღირებულება	გადახდა
რეაბილიტაცია	1	3 451,8	906,0
აღჭურვა	4	3 572,1	3 145,6

[9] N24/ო (27.01.05)

სულ	*5*	*7 023,9*	*4 051,6*

ხუთივე ხელშეკრულება დადებულია დეკემბრის თვეში. შესაბამისად, შემსრულებლების მიერ მათი შესრულების დოკუმენტები ფონდში წარმოდგენილია 2005 წელს.

2005 წელს დადებული ხელშეკრულებები და ანაზღაურება:

2005 წელი			ათასი ლარი
ხელშეკრულების საგანი	რაოდენობა	ღირებულება	გადახდა
რეაბილიტაცია	15	18 674,5	5 894,9
აღჭურვა	17	15 499,9	15 084,5
სხვადასხვა	25	2 698,5	306,7
სულ	*57*	*36 872,7*	*21 286,1*

გარდა ამ ხელშეკრულებებისა, დაფინანსებულია „აკადემიკოს ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის" ექსპლუატაციაში გაშვებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები 900,0 და 582,2 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, 100,7 ათასი ლარი გახარჯა ამ ცენტრის თანამშრომლებთა ტრენინგსა და მივლინებაზე, 255,0 ათასი ლარი - ცენტრის სარეაბილიტაციო დამატებით სამუშაოებზე. სულ 2005 წელს მიკუთვნებულმა ხარჯებმა შეადგინა 23 124,0 ათასი ლარი.

2 988,2 ათასი ლარის ოდენობის სხვაობა წლის განმავლობაში მთლიან გადახდასა (26 112,2 ათასი ლარი) და 2005 წლის აქტივობებზე გადახდას შორის წარმოადგენს წინა წლის ხელშეკრულებების თანხებს.

1.1.2. გრანტი

2005 წელს ფინანსთა სამინისტროსა და ფონდს შორის დადებულია საგრანტო ხელშეკრულება[10]. გრანტის თანხა შეადგენდა 3 000,0 ათას აშშ დოლარს (5 415,3 ათასი ლარი). თანხა უნდა დახარჯულიყო მხოლოდ ხელშეკრულების მიზნებისათვის, ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად[11], სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობების შესაძენად[12]. გრანტის ფარგლებში მიღებული იყო 250,7 ათასი ლარის ეკონომია, რომელიც ფონდმა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით მიმართა არადანიშნულებით - სამშენებლო–სარემონტო სამუშაოებზე[13].

2006 წელს დადებული ხელშეკრულებები და ანაზღაურება:

2006 წელი			ათასი ლარი
ხელშეკრულების საგანი	რაოდენობა	ღირებულება	გადახდა
რეაბილიტაცია	36	28 462,7	16 557,6

[10] 15.08.2005

[11] N570 (30.08.04) ბრძანება „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული უულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის წესის შესახებ"

[12] ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტები.

[13] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის" მოთხოვნები.

აღჭურვა	67	22 163,9	13 131,2
სხვადასხვა	8	368,7	150,8
სულ	*111*	*50 995,3*	*29 839,6*

12 836,9 ათასი ლარის ოდენობის სხვაობა წლის განმავლობაში მთლიან გადახდასა და ხელშეკრულებების მიხედვით გადახდას შორის, წარმოადგენს წინა წლის ხელშეკრულებების თანხებს.

1.1.3. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

ფონდის მიერ განსახორციელებელი ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების სარეაბილიტაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა სახის აუცილებელი ხარჯის შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით[14], სამინისტროს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო **2 000,0** ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, რომელიც აისახა ოპტიმიზაციის პროგრამის 2006 წლის მესამე კვარტლის გეგმაში „სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერების" ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლში **3 544,0** ათასი ლარის ოდენობით.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუფერხებლად შესრულების მიზნით, აუცილებლობა მოითხოვდა იქ მცხოვრები დევნილების გამოსახლებას და გამოთავისუფლებული ოთახების სანაცვლოდ, მათთვის კომპენსაციების გადახდას. მინისტრის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად[15], საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იქნა დევნილთა მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულ პირთა სიობრივი მონაცემები და მიმდინარე პერიოდის აღწერის მასალები, დაკავებული ოთახების ჩვენებით[16].

რესპუბლიკურ საავადმყოფოში მცხოვრები დევნილებისათვის საცხოვრებელი ფართის კომპენსაციის განსაზღვრის წესის დადგენის მიზნით, ამ ორი უწყების მინისტრების ბრძანებების[17] თანახმად, შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო: ა) საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა გამოყოფილი ფონდის ფარგლებში; ბ) ეწარმოებინა მოლაპარაკებები დევნილებთან შეთანხმების მისაღწევად; გ) დაერეგულირებინა კომპენსაციის ფორმა და ვადები და დ) გადაეწყვიტა დევნილების გამოსახლებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები.

კომისიამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ სიებზე დაყრდნობით, დაადგინა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკაში დროებით განსახლებულ, ფართის გამოთავისუფლების სანაცვლოდ კომპენსაციის მიმღებ პირთა სია, განსაზღვრა დევნილებისათვის გასაცემი საკომპენსაციო თანხის ოდენობა ერთ ოთახზე; ასევე დანამატები კომპენსაციის თანხებზე სხვადასხვა შემთხვევაში (ოთახში მცხოვრებთა რაოდენობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით და სხვ.)

აუდიტით გამოვლინდა, რომ კომისიის მიერ მიღებულია გადაწყვეტილებები და, შესაბამისად, გაიცა თანხები (ცალკეული პიროვნებების მიხედვით) დადგენილი ოდენობის საკომპენსაციო თანხების დადგენილ ოდენობებზე ზევით. დამატებითი

[14] N343 (22.06.06)
[15] N01 05/02/5431 (26.06.06) წერილი
[16] N5497 (05.07.06) წერილი
[17] N195/ო (10.07.06) და N83 (10.07.06)

თანხების გაცემის საფუძვლად კომისიის სხდომის ოქმებში მითითებულია ზოგჯერ მრავალშვილიანობა, მარტოხელა დედობა, ფეხმძიმობა და ა.შ. აღნიშნული მიზეზები არ წარმოადგენდა იმის საფუძველს, რომ ფაქ ტობრივად დახმარებების სახით გაცემული თანხები, გახარჯულიყო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიზნობრივად გამოყოფილი თანხიდან. სულ, არადანიშნულებით გახარჯულია **34,0** ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი, რამაც შეადგინა **59,1** ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებიდან გაწეული ხარჯები:

2006 წელი	ათასი ლარი
დევნილებზე გაცემული თანხები	3 377.6
ნოტარიუსის სარჯი	22,2
ავეჯის გადაზიდვის ხარჯი	19.5
კურსთაშორისი სხვაობა	3,0
საცხოვრებელი ფართის ქირის ხარჯი	6,2
სულ	3 428 5

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხასა და გახარჯულ თანხას შორის სხვაობა **115,5** ათასი ლარი (**3 544,0-3 428,5**) გახარჯულია ფონდის მიერ არადანიშნულებით, მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა, წარმოადგენდა სუბვენციას, რომელიც თანხების ხარჯვის მიზნობრიობის ან ვადის დარღვევის შემთხვევაში ექვემდებარება უკან დაბრუნებას[18]. სულ, არადანიშნულებით გაიხარჯა **174,6** ათასი ლარი (**115,5+59,1**).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მცხოვრები დევნილებისათვის საცხოვრებელი ფართის კომპენსაციის მიზნით, ფონდის მიერ თანხები გაცემულია 2007 წელსაც **67,4** ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული მიზნებისათვის 2007 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოყოფილი აღარ ყოფილა. თანხების გაცემა დაფინანსებულია პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში.

1. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით[19], საქართველოში დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის, ახალშობილთა თანდაყოლილი მანკების შემცირების, გენეტიკური პათოლოგიების ადრეული დიაგნოსტიკის, დროული მკურნალობის, ამასთანავე ახალშობილთა, ბავშვთა, მოზარდთა ინვალიდობის შემცირებისა და პერინატალური კონტროლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გენეტიკური კვლევის ლაბორატორიის შექმნისა და აღჭურვისათვის საჭირო ხარჯის დასაფინანსებლად გამოეყო **238,6** ათასი ლარი.

ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, ფონდსა და შპს „ივერმედს" შორის დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ[20] გენეტიკური კვლევის ლაბორატორიის მოწყობილობების მოწოდებაზე, მონტაჟი-გამართვასა და სამედიცინო პერსონალის სწავლებაზე თანხით **419,6** ათასი ლარი. 2006 წლის 15 დეკემბერს მოხდა **240,0** ათასი ლარის წინასწარი გადახდა. საქონლის მოწოდება განხორციელდა 2007 წლის 12 მარტს - **342,5** ათასი ლარის, 25 აპრილს - **77,1** ათასი ლარის ღირებულებებით.

---

[18] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის" მოთხოვნები

[19] N413 (28.07.06)

[20] Nსრფ-74/06 (11.12.06)

სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის მიზნები და ამოცანები:

- მოსახლეობისთვის გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი გახადოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება; ჯანმრთელობის დაცვის სექტორის ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარება (მშენებლობა, რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია, აღჭურვა) განახლებული სტანდარტებისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვისა და ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმების შესაბამისად[21].
- ჯანმრთელობის დაცვის სექტორის და სამინისტროს სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარება/განახლება; სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია და აღჭურვა[22].
- ჯანმრთელობის დაცვის სექტორის ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარება/განახლება; სამე დიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია და აღჭურვა[23].

პროგრამის ბიუჯეტები და გადახდები წლების მიხედვით:

ბიუჯეტი			ათასი ლარი
პროგრამა	დამტკიცებული	დაზუსტებული	გადახდა
2007	54 770,0	53 096,0	39 251,7
2008	14 565,0	9 578,9	7 146,7
2009	8 500,0	5 479,5	3 216,2

პროგრამებში თავიდანვე იყო გათვალისწინებული თანხები წინა წლების ხელშეკრულებების შესრულების ხარჯების ასანაზღაურებლად:

2007	23 659,3
2008	3 039,6
2009	3 254,1

პროგრამის ბიუჯეტები მნიშვნელოვნად შემცირდა და მათი შეფარდება წლების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:



[21] 2007 წელი
[22] 2008 წელი
[23] 2009 წელი

დადებული ხელშეკრულებები და გადახდები:

2007 წელი			ათასი ლარი
ხელშეკრულების საგანი	რაოდენობა	ღირებულება	გადახდა
რეაბილიტაცია	11	17 750,7	3 482,4
აღჭურვა	25	7 336,8	7 077,2
სხვადასხვა	24	1 158,3	1 148,7
სულ	*60*	*26 245,8*	*11 708,3*

2007 წელს წინა წლის ხარჯების დასაფარად გახარჯულია **27 543,4** ათასი ლარი, რაც დამტკიცებულ ბიუჯეტზე **3 884,1** ათასი ლარით მეტია. აღნიშნული გამოწვეულია ისეთი დამატებითი სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებით, რაზედაც ხელშეკრულებებში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, 2007 წელს განსახორციელებელ ღონისძიებებზე გათვალისწინებული იყო **29 436,7** ათასი ლარი. დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა – **26 245,8** ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ – **11 708,3** ათასი ლარი - **17 728,4** ათასი ლარით ნაკლები.

დადებული 60 ხელშეკრულებიდან 25 ერთეული (საერთო ღირებულება - **8 192,2** ათასი ლარი, გადახდა - **4 506,8** ათასი ლარი) წარმოადგენდა პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, 35 კი - გაუთვალისწინებელ ღონისძიებებს (საერთო ღირებულება - **18 053,6** ათასი ლარი, გადახდა - **7 201,5** ათასი ლარი). ამავდროულად მიმდინარეობდა 2006 წლის 34 კონტრაქტის დაფინანსება, რაზეც გადახდილია **27 543,4** ათასი ლარი.

პროგრამით გაუთვალისწინებელ მიმდინარე ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ცენტრის დირექტორმა 2007 წლის ოქტომბრის თვეში კონტრაქტორებს დაუგზავნა შეტყობინების წერილები კონტრაქტების შეჩერების თაობაზე და სამინისტროსაგან მოითხოვა საკითხის გადაწყვეტა, რის შემდეგაც მთავრობის სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 11-დან 9 ხელშეკრულების დასრულების თაობაზე[24]. აღნიშნულ ხელშეკრულებებზე გადახდამ შეადგინა **6 114,1** ათასი ლარი. გარდა ამისა, მთავრობის სხდომაზე საკითხის გატანამდე პროგრამით გაუთვალისწინებელი 21 ხელშეკრულების მოქმედება დასულებულია იყო, რაზეც ანაზღაურებამ შეადგინა **1 087,2** ათასი ლარი.

2007 წელი			ათასი ლარი
ხელშეკრულება	რაოდენობა	ღირებულება	გადახდა
სულ გაუთვალისწინებელი	35	18 053,6	7 201,5
მთავრობის გადაწყ. დასრულებული	9	11 725,8	6 114,1
დასრულებული გაუთვალისწინებელი	21	6 327,8	1 087,2

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების დაფინანსება 2007 წელს:

[24] N46 (13.11.2007)



2007 წელსვე შეწყდა ისეთი კომპანიების დაფინანსება, რომლებთან დადებულ ხელშეკრულებებსაც ამოწურული ჰქონდა მოქმედების ვადები, მაგრამ ისინი აგრძელებდნენ სამუშაოებს და ღებულობდნენ თანხებს თავდაპირველ სახელშეკრულებო ფასებზე ემოთ. მოტივად სახელდებოდა მატებითი სამუშაოების შესრულება. ამ სამუშაოებზე გაზრდილი ხარჯთაღრიცხვები წარმოდგენილი იყო შემსრულებელების მიერ, მაგრამ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება არ მომხდარა. ამასთან, გაზრდილი ხარჯთაღრიცხვების სისრულე და რეალობა არ იყო დამკვეთის მიერ დადასტურებული.

2005-2007 წლები ათასი ლარი

შემსრულებელი	ხელშეკრულება	ღირებულება	ვადა	ზედმეტად ანაზღაურებული
შპს „ბაბა"	N/სრფ-28/05 (12.05.06)	898.9	18.10.06	209.8
შპს „მესხთოღლუ"	N/სრფ-18/05 (09.09.05)	12 402.1	09.09.06	4 134.6
შპს „ორელი"	N/სრფ-14/06 (17.04.06)	900.0	30.09.06	570.2
სულ				*4 914,6*

(შესაბამისი ხელშეკრულებებით უზრუნველყოფის გარეშე გაგრძელებულ და დამატებით გადახდილ თანხებზე იხ. აქტის 1.2 და 1.3 ნაწილებში)

არის შემთხვევები, როდესაც დაზუსტებული პროგრამის თანახმად განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები (ლენტეხის რ-ნის სოფ. თეკალში ამბულატორიისა და სოფ. ჟახუნდარში სამედიცინო პუნქტის, სოფ. თამარაშენის ამბულატორიის საძშენებლო სამუშაოებისა და ავეჯისა და მოწყობილობების შეძენის მიზნით) არ შესრულებულა კონტრაქტორი კომპანიის მიმართ (შპს „მედრეგლამენტი") სასსლის სამართლის საქმის აღძვრის გამო.

2008 წელი ათასი ლარი

ხელშეკრულების საგანი	რაოდენობა	ღირებულება	ვადაზდა
რეაბილიტაცია	10	929.5	887,6
აღჭურვა	5	12 680.3	4 967,4
სხვადასხვა	9	37,2	7,6
სულ	*21*	*13 647,0*	*5 862,6*

წინა წლების ხელშეკრულებებზე გაწეულია **1 284,1** ათასი ლარის ხარჯი.

მიმდინარე და წინა წლების ხელშეკრულებებზე გაწეული ხარჯების შეფარდება:



2009 წელი			ათასი ლარი
ხელშეკრულების საგანი	რაოდენობა	ღირებულება	გადახდა
რეაბილიტაცია	1	44,9	44,9
აღჭურვა	17	1 332,4	873,8
სხვადასხვა	6	81,5	79,6
სულ	*24*	*1 458,8*	*1 000,3*

2 215,1 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია წინა წლების ვალდებულებების დასაფარად. ორივე პროგრამის აუდიტის პერიოდის ბიუჯეტები და გადახდები:

პროგრამა	დამტკიცებული	დაზუსტებული	გადახდა
ობიექტის შენაცვლა	70 782,2	72 913,3	72 901,2
რეაბილიტაცია/აღჭურვა	77 385,0	68 154,8	49 614,6
სულ	*148 167,2*	*141 068,1*	*122 515,8*

1.2 განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა შესყიდვების მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან

აუდიტის პროცესში 2004-2007 წლების შესყიდვების გეგმები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამავე პერიოდის სატენდერო დოკუმენტაცია არ არის დადგენილი წესით აკინძული და შენახული, რის გამოც მასში არსებული დოკუმენტაციის სისრულე არ არის უზრუნველყოფილი[25].

ხელშეკრულებების აუდიტით გამოვლინდა საერთო ხასიათის მთელი რიგი დარღვევა-ნაკლოვანებები: ვერ იქნა წარმოდგენილი 2004-2007 წლების შესყიდვების გეგმები, რათა მიღებული ყოფილიყო მტკიცებულებები შესყიდვების წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული გეგმების შესაბამისად განხორციელების თაობაზე. არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ხელშეკრულებების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაცია, რომლის წარმოება და შენახვა შესყიდვების კოორდინატორის ან ინსპექტირების ჯგუფის ერთ-ერთი ფუნქციაა[26].

[25] დარღვეულია დებულების 32-ე მუხლის მე-6 (N1 ბრძანება,15.10.2001) და 29-ე მუხლის მე-5 (N1 ბრძანება, 03.01.2006) პუნქტების მოთხოვნები

[26] დარღვეულია დებულების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის (N1 ბრძანება; 15.10.2001) და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მოთხოვნები

წარმოდგენილი ცნობების თანახმად, აუდიტის პერიოდში განხორციელებული შესყიდვები:

შესყიდვის ტიპი	2004	2005	2006	2007	2008	2009	სულ	შენიშვნა
ტენდერი	5	24	47	13	5	16	110	სამინისტრო
ფ/3	-	1	-	-	1	-	2	
ეგმ	-	32	64	47	18	8	169	
სულ	5	57	111	60	24	24	281	

- 2006 წლის 24 თებერვალს გამოცხადებულ ღია ტენდერში პირველი ლოტი წარმოადგენდა რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვას. წინადადება წარმოდგენილი ჰქონდა 5 (ხუთი) კომპანიას. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ბლოკ-ჯორჯია" ფასით - **6 376,1** ათასი ლარი. ამავდროულად, შპს „ელიმპის" სატენდერო წინადადების ფასი შეადგენდა **3 785,3** ათას ლარს (**2 590,8** ათასი ლარით ნაკლები), ხოლო შპს „მშენებელის" – **5 299,6** ათას ლარს (**1 076,5** ათასი ლარით ნაკლები). შემოწმდა სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი[27]. დადგინდა, რომ გამარჯვებული კომპანიის წინადადება შეფასდა ჯამური 8,8 ქულით, შპს „მშენებლის" – 8 ქულით, შპს „ელიმპის" – 7,8 ქულით. კომისიის ყველა წევრის შეფასება ერთმანეთის იდენტურია. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად მიღებულია შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი, რაშიც შპს „ელიმპს" მინიჭებული აქვს სხვებთან შედარებით ყველაზე დაბალი ქულა. ხარისხთან დაკავშირებით სატენდერო განცხადებაში რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა არ ყოფილა, ხოლო შპს „ელიმპი" სატენდერო წინადადებაში უთითებდა, რომ სამუშაოები შესრულდებოდა მოქმედი ნორმებისა და ტექნიკური პირობების დაცვით და გამოყენებულ მასალებზე წარმოდგენილი იქნებოდა შესაბამისი სერტიფიკატი.

რაც შეეხება სამუშაოების შესრულების გამოცდილებას, ამ კომპონენტში შპს „ელიმპს" მინიჭებული აქვს მინიმალური ქულა. ამ კომპონენტით გამარჯვებული კომპანიის ანალოგიურ კომპონენტთან შედარება ვერ მოხერხდა, რადგანაც შპს „ელიმპის" მონაცემები სატენდერო მასალებში არ აღმოჩნდა. გასათვალისწინებელია, რომ ეს მონაცემი წარმოადგენდა საკვალიფიკაციო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სავალდებულო დოკუმენტს და მისი წარმოუდგენლობის შემთხვევაში აღნიშნული შპს იქნებოდა დისკვალიფიცირებული. გარდა ამისა, ამ შპს-ს ფონდთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება წინა წლებში და მის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ფონდს პრეტენზიები არ გამოუთქვამს.

აღნიშნულ საკითხზე ამომწურავი განმარტებების მიღება აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო.

აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებული კომპანიების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები იყო არასრულყოფილი, მაგრამ არ მომხდარა მათი ტენდერებიდან დისკვალიფიკაცია. კერძოდ:

- 2006 წლის 17 აგვისტოს საქართველოს რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენილი შპს „მედრეგლამენტის" მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს არ ახლავს ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დაცვალიანების არარსებობის

[27] N1/3 (22.03.2006)

შესახებ. მან ასევე არ წარმოადგინა გასული (2005წ.) წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი).

2007 წლის 22 ივნისს ცენტრის მიერ გამოცხადებულ ტენდერში კვლავ გაიმარჯვა შპს „მედრეგლამენტმა", თუმცა ფინანსური ანგარიშები კვლავ არასრულყოფილად წარმოადგინა. კომპანიის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ 2006 წლის წლიური ბალანსი, რომლის თანახმადაც აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საბალანსო ანგარიშებზე ნაშთები პერიოდის დასაწყისისათვის მითითებული არ არის, რაც მიანიშნებს, რომ კომპანია წინა წელს არ არსებობდა; მაშინ როდესაც სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად (გაცემული 19.06.2007წ.) შპს 2005 წლის 19 ივლისშია რეგისტრირებული და 2005 წლის წლიურ ანგარიშგებაში სადამფუძნებლო ოპერაციები მაინც უნდა ასახულიყო. რაც შეეხება 2006 წლის საბალანსო ნაშთებს, არსებობს ეჭვი იმისა, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას; რადგან კომპანია დაარსებულია 2 000 ლარის საწესდებო კაპიტალით, ხოლო საბალანსო ანგარიშის ნაშთის თანახმად იგი შეადგენს 38 098 ლარს. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების თანხმად აღნიშნული კომპანიები ექვემდებარებოდნენ დისკვალიფიკაციას[28].

ხელშეკრულებები

ხელშეკრულებებში ძირითადად გათვალისწინებულია დებულების მოთხოვნები. ამ მოთხოვნების შესრულების აუდიტით გამოვლინდა, რომ 2007 წლის მეორე ნახევრამდე ხელშეკრულებების პირობები, როგორც წესი არ სრულდებოდა. კერძოდ: ყველა ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ სამუშაოების მიღება მოხდებოდა ინსპექტირების აქტების საფუძველზე, რომელიც ჩატარდებოდა ფონდის მიერ სპეციალურად ამგვარი სამუშაოების ინსპექტირებისათვის დამტკიცებული დებულების მიხედვით. იშვიათი გამონაკლისის გარდა ინსპექტირების ჯგუფების დასკვნები არ არის წარმოდგენილი. ვერ იქნა წარმოდგენილი დამტკიცებული დებულებაც.

სარემონტო-საშენებლო სამუშაოებისას ადგილი ჰქონდა დამატებითი სამუშაოების წარმოების ფაქტებს, რომლებიც არ იყო ხელშეკრულებებითა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული. ასეთ სამუშაოებზე ვერ იქნა წარმოდგენილი ფონდის მიერ შედგენილი დეფექტური აქტები, კანონმდებლობითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული შეთანხმებები მხარეებს შორის, სადაც იქნებოდა მოცემული ფასების ცვლილების მიზეზები, სამუშაოთა ღირებულება და შესრულების ვადები. კერძოდ, ტენდერში მონაწილეთათვის განკუთვნილი ინსტრუქციით დაიშვებოდა ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დასაშვები იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებული იქნებოდა სპეციფიკური პირობებით, სადაც ასევე მითითებული უნდა ყოფილიყო ის გარემოებები, რომელსაც დასაშვები იყო ფასების ცვლილება. სპეციფიკური პირობების მიხედვით კი ასეთ გარემოებებს წარმოადგენდა ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა, თუ ხელშეკრულების ფასი გაიზრდებოდა ან შემცირდებოდა 3%-ის ოდენობით. ამასთან, ინსტრუქციის თანახმად, ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი ცვლილება უნდა გაფორმებულიყო დოკუმენტურად.

[28] დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე ანაზღაურებული იყო დამატებითი სამუშაოები. ფონდსა და შემსრულებლებს შორის დამატებით სამუშაოებზე გაფორმებულია ერთი ხელშეკრულება (359,8 ათასი ლარი) და ერთი შეთანხმება (59,8 ათასი ლარი), სხვა შემთხვევებში დამატებითი სამუშაოების ანაზღაურება მოხდენილია **შემსრულებლების** ან/და რეაბილიტაციას დაქვემდებარებული ობიექტების ხელმძღვანელი პირების წერილების საფუძველზე, ამ სამუშაოებზე შესაბამისი შეთანხმებების ან/და ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის, ანუ დოკუმენტურად გაფორმების გარეშე.

ცენტრში შემოწმებული ხელშეკრულებების თანახმად, 2004 წლის სექტემბრიდან 2007 წლის ნოემბრამდე, დამატებითი სამუშაოების სახით, დოკუმენტირებული საფუძვლების გარეშე გადახდილია **8 394,8** ათასი ლარი. დამატებითი სამუშაოების სიხშირე და მოცულობების ზრდა მიუთითებს იმაზე, რომ ტენდერების წინამოსამზადებელი სამუშაოები არ ხორციელდებოდა სათანადო ხარისხით[29].

ხელშეკრულებები დადებულია ისე, რომ მათი დასრულება განსაზღვრულია იმავე საფინანსო წლის განმავლობაში, მაგრამ ფაქტობრივი შესრულება ხორციელდება მომდევნო საფინანსო წელს და პრაქტიკულად ეს ხელშეკრულებები თავისი არსით უკვე წარმოადგენდნენ მრავალწლიან ხელშეკრულებებს, მითუმეტეს, რომ ანაზღაურებაც სხვადასხვა საფინანსო წლებშია მოხდენილი. ამ შემთხვევებისათვის საბიუჯეტო კანონებში გათვალისწინებული იყო წინა წლების ვალდებულებების დაფარვა, მაგრამ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ნებართვები ფინანსთა სამინისტროდან და შეთანხმებები შესყიდვების სააგენტოსთან[30].

ირღვეოდა საქონლისა და სამუშაოების მიწოდების ვადები, ხოლო ვადების დარღვევის გა მო ა მავე ხელ შეკრულებებით გა თვალისწინებული სა ჯარიმო სანქ ციები ფონდს 1 შემთხვევის გარდა არ აუმოქმედებია.

2004-2006 წლებსა და 2007 წლის ნოემბრამდე პერიოდში, საჯარიმო სანქციების გამოუყენებლობის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე არ იქნა მიმართული დაახლოებით **3 176,7** ათასი ლარი.

არც ერთ ხელშეკრულებაზე არ არის შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი. შედგენილია მხოლოდ ეტაპობრივი აქტები ნაზარდი ჯამის პრინციპით[31].

1.3 პროგრამების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობა

სასამართლოს ბრძანებებით[32] ცენტრიდან ამოღებული იყო **19 748,7** ათასი ლარის საერთო ღირებულების 18 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რაც შეადგენს ხელშეკრულებების მთლიანი რაოდენობის 6,7 და ღირებულებების 16,1 პროცენტს. აღნიშნულის გამო ეს ხელშეკრულებები არ შემოწმებულა.

აუდიტის პერიოდში ორივე პროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები და გადახდები:

01.09.04-01.01.10 — ათასი ლარი

ხელშეკრულები	რაოდენობა	ღირებულება	გადახდა

[29] არასათანადოდ არის შესრულებული დებულების მე-4 მუხლების პირველი პუნქტების მოთხოვნები

[30] დარღვეულია დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტისა (15.10.2001) და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (20.04.2005) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები

[31] დარღვეულია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მოთხოვნები.

[32] 24.10.2007; 29.09.2008; 26.01.2009; 02.02.2009; 09.02.2009; 16.02.2009;30.03.2009

რეაბილიტაცია	74	69 313,9	63 607,2
აღჭურვა	135	55 413,2	51 829,8
სხვადასხვა	72	7 772,7	7 078,8
სულ	*281 (+ დეფექტები)*	*136 243,5*	*122 515,8*

აუდიტის პერიოდში შეწყვეტილია 25 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 22 122,5 ათასი ლარი, ამიტომ გადახრა უნდა შეადგენდეს ამ ოდენობას, მაგრამ როგორც ზემოთ არის აღნიშნული დამატებით სამუშაოებზე გადახდილი თანხები შეადგენს 8 394,8 ათას ლარს, რის გამოც ეს ციფრი მცირდება 13 727,7 ათას ლარამდე.

2004-2007 წლებში დადებული ხელშეკრულებების პირობების შესრულების შემოწმებით გამოიკვეთა ისეთი ტენდენციები, რომლებიც გამოიხატება ვადების დაუცველობის გამო განსაზღვრული პირგასამტეხლოს გამოუყენებლობის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე თანხების მიუღებლობაში, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ზედმეტად გადახდილ თანხებში, სამუშაოების ხარისხიანად და სრული მოცულობით შესრულების არასათანადო კონტროლში, მათ მიმდინარეობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში არსებულ შეუსაბამობებში.

ფონდს 2006 წლის მეორე ნახევარში იმ შემსრულებლებისათვის, რომლებიც ხანგრძლივი ვადით არღვევდნენ ხელშეკრულებების პირობებს, და გზავნილი აქვს შეტყობინებები და წერილები, სადაც მითითებულია, რომ სამუშაოების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში ამოქმედდებოდა საჯარიმო სანქციები. საგულისხმოა, რომ იმ დროისათვის ვადები უკვე დარღვეული იყო, ხოლო სანქციები, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ერთი შემთხვევის გარდა არ გამოყენებულა.

ხელშეკრულება: N88/06 (14.12.2004).

შემსრულებელი: შპს „ბლოკ-ჯორჯია".

ხელშეკრულების საგანი: აკადემიკოს ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის „ა" კორპუსის სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 3 451,8 ათასი ლარი. (უნდა აღინიშნოს, რომ შემსრულებლის სატენდერო წინადადების ფასი შეადგენდა 2 101,9 ათას ლარს, ხოლო 3 451,8 ათასი ლარი წარმოადგენდა ალტერნატიული წინადადების ღირებულებას, რომელიც გულისხმობდა შესაბამისი პროექტით სასარგებლო ფართის 736 კვ.მ-ით გაზრდას).

- შემსრულებლის წერილის[33] საფუძველზე, ფონდის მიერ ჩეხეთის რესპუბლიკაში კომპანია "block a.s." - სათვის ლიფტების ღირებულების სახით გადარიცხულია 126,2 ათასი ევროს ექვივალენტი ლარში, რაც შეადგენდა 290,3 ათას ლარს. ხელშეკრულებაზე თანდართულ ხარჯთაღრიცხვასა და შემსრულებლისა და დამკვეთის მიერ შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტებზე თანდართულ, შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა N2), გრაფაში - „ლიფტები", ღირებულებად ნაჩვენებია 161,7 ათასი ლარი. ანუ გადახდილ თანხაზე 128,6 ათასი ლარით ნაკლები.
- ხელშეკრულებაში არ არის დადგენილი სამუშაოების შესრულების კონკრეტული ვადები, სანაცვლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2005 წლის 1 ნოემბრამდე. სატენდერო წინადადების თანდართული გრაფიკის მიხედვით, სამუშაოების დასრულება შემსრულებლის მიერ განსაზღვრული იყო 2005 წლის 15 აგვისტომდე. ბოლო მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია 2005 წლის 1 დეკემბერს - 107 დღის დაგვიანებით. ამასთან, ნოემბრის თვიდან ხელშეკრულებას აღარ გააჩნდა

[33] N808/05-II (08.08.2005)

იურიდიული ძალა[34]. ამ თვეში შესრულებული სამუშაოების ღირებულებად მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებულია და საბოლოოდ ფონდის მიერ ანაზღაურებულია **598,8** ათასი ლარი.

• ვადების გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა დაახლოებით შეადგენს **140,8** ათას ლარს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 4,1%-ს. ხელშეკრულების[35] თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო შეეწყვიტა ხელშეკრულება. ფონდს არ გამოუყენებია საჯარიმო სანქციები და არ შეუწყვეტია ხელშეკრულება.

• იმავე წლის 7 სექტემბერს ფონდის მოთხოვნის საფუძველზე შემსრულებლის მიერ შედგენილია დამატებითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა **359,8** ათასი ლარის (დამატება „ა") ღირებულებით, რაზედაც დადებულია ხელშეკრულება[36] (დამატებით სამუშაოებთან დაკავშირებით იხ.ქვემოთ).

ხელშეკრულება: N სრფ-01/05 (09.06.2005).

შემსრულებელი: შპს „ბლოკ-ჯორჯია".

ხელშეკრულების საგანი: დასავლეთ საქართველოს მრავალპროფილიანი სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის[37] „ბ" კორპუსის სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 2 484,6 ათასი ლარი.

• აღნიშნულ ხელშეკრულებაზე დამატებით გადახდილია **255,0** ათასი ლარი. აუდიტით გამოვლინდა, რომ ფონდს ამ სამედიცინო ცენტრისათვის აღჭურვილობის შესაძენი გრანტიდან (**5 415,3** ათასი ლარი) მიღებული ჰქონდა დაახლოებით **250,7** ათასი ლარის ეკონომია, რომელიც ფონდმა გახარჯა არადანიშნულებით. კერძოდ: შპს "ბლოკ-ჯორჯიას" წერილის თანახმად, შემსრულებელმა მინისტრის მითითებით **მოახდინა „სამუშაოთა ხარისხის ამაღლება"**, რამაც გამოიწვია დანახარჯების გაზრდა **348,5** ათასი ლარის (დამატება „ბ") ოდენობით[38]. ფონდმა თავის მხრივ თანხმობა გამოთქვა (წერილით) მხოლოდ **255 025** ლარის ანაზღაურებაზე[39] და **250,7** ათასი ლარი აუნაზღაურა გრანტის ფარგლებში მიღებული ეკონომიით.

• ამავე წერილში შემსრულებელი უთითებს, რომ მშენებლობა დაიწყო ფირმა „ხუროს" მიერ დამუშავებული პროექტით, რომელიც მის (შემსრულებლის) მიერ მთლიანად შეიცვალა და დამუშავდა სრულიად ახალი პროექტი შენობის მოცულობის გაზრდით, რის გამოც ვერ მოხერხდა შესასრულებელი მოცულობების სრულად განსაზღვრა. ყოველივემ კი განაპირობა დამატებითი ხარჯების გაწევის აუცილებლობა. კერძოდ: ზემოთ აღნიშნული **359,8** ათასი („ა") და **348,5** ათასი ლარით („ბ"), სულ **708,3** ათასი ლარით (ანაზღაურებულია **614,8** ათასი ლარი). გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ალტერნატიული წინადადება თავისთავად გულისხმობდა შემუშავებული პროექტის მიხედვით ფართის გაზრდას, რის გაანგარიშებაზე პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო შპს „ბლოკ-ჯორჯია" და დამატებითი ხარჯები, მით უმეტეს გრანტიდან მიღებული ეკონომიის ჩათვლთ, ფონდს აღარ უნდა გაეწია.

---

[34] არ მომხდარა მისი გაგრძელება

[35] სპეციფიკური პირობების 9.3 პუნქტი

[36] N სრფ-26/05 (21.09.2005)

[37] ყოფილი აკადემიკოს ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი

[38] შპს "ბლოკ ჯორჯიას" N411/05-III (14.11.2005) წერილი

[39] ფონდის N922/05 (16.12.2005) წერილი

• იკვეთება გარკვეული შეუსაბამობებიც. კერძოდ: დამატებით სამუშაოებზე („ბ") 23 დეკემბერს შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულია, რომ დეკემბრის თვეში შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა **348,5** ათასი ლარი (ანაზღაურებულია **255,0** ათასი ლარი), მაშინ როდესაც ამ სამუშაოების უკვე შესრულებას შემსრულებელი აფიქსირებს მისი 14 ნოემბრის წერილში.

• აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ მიღება-ჩაბარების აქტებს არ ახლავს ინსპექტირების აქტები, ასევე **ხარისხის ამაღლების** აუცილებლობის გამომწვევი მიზეზების შესწავლის მასალები, დამატებითი სამუშაოების ჩამოწერათვალი და მოცულობები მომზადებულია შემსრულებლის მიერ და არა ფონდის მიერ და ა.შ.

სულ, აღნიშნული სამედიცინო ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შპს „ბლოკ-ჯორჯიას" მიღებული აქვს **6 806,2** ათასი ლარი. აქედან, **128,6** ათასი ლარის ჩეხეთის რესპუბლიკაში გადარიცხვის რეალური მიზანი ვერ დგინდება, **598,8** ათასი ლარის ხარჯი გაწეულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, დამატებით სამუშაოებზე მათი გამომწვევი მიზეზების სა თანადო შესწავლის გარეშე, შემსრულებლის წერილებზე დაყრდნობით, გადახდილია **614,8** ათასი ლარი, მათ შორის **250,0** ათასი ლარი წარმოადგენდა მიზნობრივ გრანტს, პირგასამტეხლოს სახით დაურიცხავი თანხა შეადგენს დაახლოებით **140,8** ათას ლარს.

ხელშეკრულება: Nსრფ-24/05 (10.09.2005).

შემსრულებელი: შპს „ბლოკ-ჯორჯია".

ხელშეკრულების საგანი: სამეგრელო-ზემო სვანეთის ცენტრალური სამხარეო ჰოსპიტალის სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 1 999,9 ათასი ლარი.

• ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისა და მისი მოქმედების კონკრეტული ვადები (მითითებულია: „ნაკისრი ვალდებულების სრულად ამოწურვამდე"). სატენდერო წინადადების მიხედვით კი სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2006 წლის 24 მაისს.

უკანასკნელი მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია 2006 წლის 15 სექტემბერს. პირგასამტეხლოს დაახლოებით უნდა შეედგინა **45,2** ათასი ლარი.

• შემსრულებელი აღნიშნავს[40], რომ საკონტრაქტო ღირებულება მოიცავდა მხოლოდ 5 (ხუთი) სართულის სარემონტო სამუშაოებს. რეკონსტრუქციის პროცესში კი აუცილებელი შეიქნა დამატებითი სამუშაოების ჩატარება ღირებულებით **921,6** ათასი ლარი, რაც ფონდისათვის დაფინანსების გაზრდის მოტივად საკმარისი აღმოჩნდა და მინისტრისათვის მიწერილ წერილში[41] მოთხოვნილია თანხმობა. მინისტრის თანხმობა გამოხატულია რეზოლუციის სახით, რომელიც გულისხმობს გადახდის ძირითადად 2007 წელს განხორციელებას, მაგრამ ანაზღაურება მოხდა 2006 წელს.

• შემსრულებლის წერილის[42] საფუძველზე ანაზღაურებულია სხვა დამატებითი სამუშაოები **62,2** ათასი ლარის ოდენობით. წერილში აღნიშნულია, რომ საავადმყოფოს ხელმძღვანელობის მოთხოვნით (ფონდთან წინასწარი შეთანხმების გარეშე) მოეწყო მთელი ტერიტორიის მოასფალტება, დაიგო ქვაფენილი და ა.შ.

ხელშეკრულება: Nსრფ-08/06 (24.03.2006).

შემსრულებელი: შპს „ბლოკ-ჯორჯია".

---

[40] შპს "ბლოკ ჯორჯიას" N136/06-I (13.07.2006) წერილი

[41] ფონდის N466/06/01 (19.07.2006) წერილი

[42] შპს "ბლოკ-ჯორჯიას N160/06-I (16.10.2006) წერილი

ხელშეკრულების საგანი: რესპუბლიკური საავადმყოფოს საშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 6 376,2 ათასი ლარი.

• 2006 წლის 29 ნოემბერს შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულია, რომ ნოემბრის თვემდე შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა **4 076,2** ათასი ლარი. ამის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის ნაცვლად წარმოდგენილია დაუთარიღებელი დოკუმენტი სათაურით „შესრულება 2006 წლის მაისი-ოქტომბერი", სადაც შესრულებულად არის დაფიქსირებული მთლიანი მოცულობა. მათ შორის, „სამშენებლო სამუშაოები" - **6 307,5** ათასი ლარი და ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი „საპროექტო სამუშაოები (კონსტრუქციული ნაწილი)" – **68,6** ათასი ლარი. ამდენად, აუდიტით ვერ დადგინდა სამუშაოების დასრულების რეალური თარიღი.

• შემსრულებლის წერილში[43] აღნიშნულია, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარდა კეთილმოწყობის სამუშაოები საერთო ღირებულებით **750,9** ათასი ლარი, რომელსაც არ აფინანსებს ჯგუფი „ქართუ" და ითხოვს დამატებითი სახსრების გამოყოფასა და სამუშაოების აწ უკვე ცენტრის მიერ ანაზღაურებას. აღნიშნულზე წარმოდგენილია 2007 წლის 26 მარტსა და 10 აპრილს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებშიც დაფიქსირებულია, რომ მარტის თვემდე შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა **498,6** ათასი ლარი, ხოლო აპრილის თვემდე შესრულებულმა **252,3** ათასი ლარი. ამდენად, როდის შესრულდა სამუშაოები დოკუმენტაციით ვერ დგინდება, ისევე როგორც ამ სამუშაოების შესრულების საფუძველი.

ხელშეკრულება: N სრფ-04/06 (06.02.2006).

შემსრულებელი: შპს „ბლოკ-ჯორჯია".

ხელშეკრულების საგანი: ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის პრაქტიკული ცენტრის მე 2 ბლოკის სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 993,6 ათასი ლარი.

• სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 15 დეკადის განმავლობაში (დაახლოებით 6 ივლისს). დასრულდა 7 სექტემბერს. პირგასამტეხლოს უნდა შეედგინა **12,3** ათასი ლარი.

• წარმოდგენილია 16 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც ამ თვეში შესრულებული დამატებითი სამუშაოები შეფასებულია **218,6** ათასი ლარით. ამ სამუშაოების შესახებ სხვა არანაირი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის.

ამრიგად, „ბლოკ-ჯორჯიასთან" 2004-2006 წლებში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე დადებულია 9 ძირითადი ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **16 459,1** ათასი ლარი. სულ ანაზღაურებულმა თანხებმა შეადგინა **18 038,2** ათასი ლარი, საიდანაც **1 817,2** ათასი ლარი წარმოადგენს დამატებითი სამუშაოების ღირებულებას. დამატებით სამუშაოებზე დადებულია მხოლოდ ერთი ხელშეკრულება, თანხით **359,8** ათასი ლარი. ერთი ხელშეკრულება შეჩერდა (არ იქნა ანაზღაურებული **238,1** ათასი ლარი), დამატებით სამუშაოებზე **750,9** ათასი ლარი ანაზღაურდა 2007 წელს. სულ, 2004-2007 წლებში სამართლებრივი საფუძვლების გაფორმების გარეშე, შპს „ბლოკ-ჯორჯიასათვის" გადახდილია **2 208,3** ათასი ლარი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი სამუშაოების დაფინანსებაზე, ასევე ჩეხეთის რესპუბლიკაში თანხის გადარიცხვის შესახებ შპს „ბლოკ-ჯორჯიას"

[43] შპს "ბლოკ-ჯორჯიას N2303/07-1 (23.03.2007) წერილი მინისტრს

წერილების მიღება არ არის რეგისტრირებული არც სამინისტროს და არც ფონდის კანცელარიებში.

ხელშეკრულება	რაოდენობა	ღირებულება	გადახდა	შენიშვნა
ძირითადი	9	16 459,1	16 221,0	
დამატებითი	1	359,8	359,8	
დამატ. ხელშ. გარეშე	5	2 301,8	2 208,3	(750,9 – 2007 წელს)

პრაქტიკულად, აღნიშნული შპს პოსტფაქტუმ ატყობინებს ფონდს დამატებითი სამუშაოების აუცილებლად ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების, ან/და საავადმყოფოს ადმინისტრაციისაგან დავალების მიღების შედეგად დამატებითი სამუშაოების, ასევე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების უკვე შესრულების შესახებ, რის გამოც ითხოვს დამატებით დაფინანსებას, რაზეც ყველა შემთხვევაში იღებს თანხმობებს. მიღება-ჩაბარების აქტებში კი მიეთითება, რომ ეს სამუშაოები შესრულდა თანხმობის შემდეგ, თუმცა არც შეთანხმების დოკუმენტები და ხელშეკრულებების გაგრძელებები არ გაფორმებულა.

ხელშეკრულება: N1სრფ-26/06 (11.05.2006).

შემსრულებელი: შპს „რეკონსტრუქცია+".

ხელშეკრულების საგანი: ფოთის N1 პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები

ღირებულება: 545,3 ათასი ლარი.

• სამუშაოები ნაცვლად 2006 წლის 1 სექტემბრისა დასრულდა 2007 წლის 1 ივნისს. მიზეზები უცნობია. ფონდის მიერ ანაზღაურებულია **493,6** ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა **384,6** ათას ლარს. დარჩენილი შესრულება (**160,7** ათასი ლარი) მიიღო ცენტრმა. საურავს უნდა შეედგინა დაახლოებით **29,4** ათასი ლარი.

• მინისტრის სახელზე გაგზავნილ წერილში[44] პოლიკლინიკის დირექტორი უთითებს, რომ რემონტის მიმდინარეობისას აუცილებელი გახდა დამატებითი სამუშაოების ჩატარება და ითხოვს თანხის გამოყოფას. მინისტრმა რეზოლუციით საკითხის შესწავლა დაავალა ფონდის აღმასრულებელ დირექტორს. ამ უკანასკნელის მოხსენებით ბარათში[45] (უკვე ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი) აღნიშნულია, რომ 2007 წლის 1 ივნისისათვის სამუშაოები შესრულებულია და მისმა ღირებულებამ შეადგინა **72,7** ათასი ლარი.

ხელშეკრულება: N1სრფ-12/06 (13.04.2006).

შემსრულებელი: სს „ჰიდროსპეცგვირაბმშენი".

ხელშეკრულების საგანი: იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 203,1 ათასი ლარი.

• სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 13 აგვისტოსათვის. დასრულდა 2007 წლის 9 თებერვალს. წარმოდგენილია ინსპექტირების აქტი[46], რომელშიც მითითებულია, რომ 16 აგვისტოს სამუშაოების წარმოება არ მიმდინარეობდა, სულ შესრულებული იყო **69,2** ათასი ლარის სამუშაოები და შემსრულებელმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები.

---

[44] უხომრო (12.12.2006) წერილი
[45] ცენტრის D2-4465/05- C008
[46] 16.08.2006

ამის შემდეგ 25 სექტემბერსა და 12 ნოემბერს შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები ჯამური თანხით **107,1** ათასი ლარი. 13 ნოემბერს კი ფონდის აღმასრულებელი დირექტორის შემსრულებლისათვის გაგზავნილ წერილში[47] აღნიშნულია, რომ თუ სამუშაოები ვერ შესრულდება ვადებში, გამოყენებული იქნებოდა სანქციები, მაშინ როდესაც ვადები უკვე იყო დარღვეული.

საურავი - დაახლოებით **7,3** ათასი ლარი.

• საავადმყოფოს გენერალური დირექტორის მ/შ მინისტრის სახელზე გაგზავნილ 2007 წლის 26 იანვრის წერილში[48] კი აღნიშნულია, რომ შემსრულებელმა დაასრულა სამუშაოები და დამატებით შეასრულა ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი სამუშაოები ღირებულებით **36,5** ათასი ლარი, რაზეც ითხოვს დაფინანსების გამოყოფას. წერილი შესასწავლად გადაეცა ცენტრს. ცენტრის 2007 წლის 7 მარტის წერილში[49] მიზანშეწონილად არის მიჩნეული ამ სამუშაოების ჩატარება, ანუ ვერ ირკვევა სამუშაოები ჩატარებული იყო თუ ჩასატარებელი.

დამატებით სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია 2007 წლის 10 აპრილს.

ხელშეკრულება: Nსრფ-33/06 (05.07.2006).

შემსრულებელი: შპს "ევროდიზაინი".

ხელშეკრულების საგანი: პირველ კლინიკურ საავადმყოფოში რეანიმაციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 193,5 ათასი ლარი.

სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 1 ოქტომბერს, 17 ოქტომბრის მდგომარეობით, მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შესრულებული იყო **105,9** ათასი ლარის სამუშაოები. საავადმყოფოს წერილში[50] მოთხოვნილია დამატებითი სამუშაოების ჩატარება, რაზეც ხარჯთაღრიცხვა შედგენილი იყო შემსრულებლის მიერ და შეადგენდა **99,6** ათას ლარს. საბოლოო ჯამში გადახდამ შეადგინა **290,1** ათასი ლარი.

ხელშეკრულება: Nსრფ-01/06 (17.01.2006).

შემსრულებელი: შპს „ტრანსმშენი".

ხელშეკრულების საგანი: საგარეჯოს რაიონის პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანების (საოჯახო მედიცინის ცენტრი) სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 649,3 ათასი ლარი.

საბანკო გარანტიის საფუძველზე წინასწარ გადაირიცხა **400,0** ათასი ლარი.

დასრულება - მაისის პირველი დეკადა.

მხარეების ხელმოწერებით დადასტურებულ მიღება-ჩაბარების აქტში (02.05.06) შესრულებული იყო **649,3** ათასი ლარის სამუშაოები.

3 მაისს (მეორე დღეს) დამკვეთსა და შემსრულებელს შორის გაფორმდა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ, რომლის თანახმადაც უნდა შეცვლილიყო ხარჯთაღრიცხვა თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რის საფუძველზეც სახელშეკრულებო ფასი იზრდებოდა **59,8** ათასი ლარით. თანდართულია 2 ხარჯთაღრიცხვა (დაუთარიღებელი) ცვლილებების შესახებ. კერძოდ: „ცვლილებების ხარჯთაღრიცხვა N1", რომელზეც აღნიშნულია „სამუშაოები, რომლებიც

---

[47] N978/06

[48] N51

[49] D2-4155/05-C008

[50] მინისტრის სახელზე N1-01/237 (08.11.2006) წერილი

გათვალისწინებულია ძირითადი ხარჯთაღრიცხვით და არ სრულდება" ღირებულებით **167,4** ათასი ლარი და „ცვლილებების ხარჯთაღრიცხვა N2", რომელზეც აღნიშნულია „სამუშაოები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ძირითადი ხარჯთაღრიცხვით" ღირებულებით 227,2 ათასი ლარი. სხვაობა მათ შორის განისაზღვრება 59,8 ათასი ლარით. უნდა აღინიშნოს, რომ იმ სამუშაოების ძირითადი ნაწილი, რომელიც ცვლილების ხარჯთაღრიცხვაში მოხსენიებულია, როგორც სამუშაოები, რომლებიც არ სრულდება, შესრულებულად არის დაფიქსირებული წინა მიღება-ჩაბარების აქტებში და როგორც აღვნიშნეთ 2 მაისს გაფორმებული მ/ჩ აქტის მიხედვით სამუშაოები შესრულებული იყო სრულად.

ფონდმა აღნიშნული თანხის ანაზღაურება საბჭოს თავმჯდომარისაგან მოითხოვა 17 მაისს. სულ გადახდილია 709,1 ათასი ლარი.

ხელშეკრულება: N სრფ-34/06 (05.07.2006).

შემსრულებელი: შპს „თეგითინა".

ხელშეკრულების საგანი: პირველი კლინიკური საავადმყოფოს მიმღების, კომპიუტერული ტომოგრაფიისა და რენტგენის განყოფილების სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 560,3 ათასი ლარი.

ხელშეკრულება დასრულდა 66 დღის დაგვიანებით, რის გამოც პირგასამტეხლოს უნდა შეედგინა 7,4 ათასი ლარი. ამავე ობიექტზე დამატებით შესრულებულია 372,7 ათასი ლარის სამუშაოები, საიდანაც შეთანხმება გაფორმებულია მხოლოდ 116,2 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებზე, შეთანხმების გარეშე განხორციელებულია 256,5 ათასი ლარის სამუშაოები.

ხელშეკრულება: N სრფ-09/06 (31.03.2006).

შემსრულებელი: შპს „მშენებელი".

ხელშეკრულების საგანი: სს „ქუთაისი სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის" სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 266,2 ათასი ლარი.

სარეაბილიტაციო ობიექტის ხელმძღვანელის მხრიდან მოთხოვნილი იქნა[51] 26,3 ათასი ლარის ღირებულების დამატებითი სამუშაოების დაფინანსება. შემსრულებელმა წარმოადგინა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა 292,5 ათას ლარზე (266,2+26,3). აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი შეთანხმების დოკუმენტი წარმოდგენილი ვერ იქნა.

გრაფიკის მიხედვით სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2006 წლის 29 აგვისტომდე. მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით კი 7 აგვისტოს მდგომარეობით შესრულებული იყო მხოლოდ 77,6 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები (კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის 26,5%). წარმოდგენილია, ასევე ფონდის მიერ შესყიდვების სააგენტოსათვის გაგზავნილი წერილი[52], რომლის თანახმადაც არაერთგზის წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, კომპანიამ ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ამის გამო ფონდმა შეწყვიტა ხელშეკრულება და მიზანშეწონილად მიიჩნია ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულების დადება ჩატარებული ტენდერის ერთ-ერთ ლოტში გამარჯვებულ შპს „იმერეთი I"-თან[53]. ამდენად, წინა კონტრაქტის შეწყვეტის თარიღად აუდიტის ჯგუფმა მიიჩნია 25 ოქტომბერი. შესაბამისად ვადები გადაცილებული იყო 88 დღით, ხოლო

[51] 2006 წლის 15 ივნისის წერილი
[52] N904/06 (25.10.2006)
[53] N სრფ-69/06 (26.10.2006)

პირგასამტეხლო შეადგენდა დაახლოებით 4,7 ათას ლარს, რითაც ფონდს მომწოდებელი არ დაუჯარიმებია.

შპს „იმერეთი I"-თან დადებული ხელშეკრულების ღირებულება კი შეადგენდა 243,3 ათას ლარს, რაც ანაზღაურდა სრულად და სულ ორივე ხელშეკრულების მიხედვით გაიხარჯა 320,8 ათასი ლარი, ანუ კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე 28,3 ათასი ლარით მეტი.

ამასთან, ფონდს არ გამოუყენებია შპს „მშენებელის" ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (5%), რაც შეადგენდა 13,3 ათას ლარს და ვადა ამოეწურა 31 აგვისტოს.

ხელშეკრულება: N სრფ-11/05 (20.07.2005).

შემსრულებელი: შპს „ჯი-ემ-ესი".

ხელშეკრულების საგანი: აკადემიკოს ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრისათვის სამედიცინო და საოფისე ავეჯის შესყიდვა.

ღირებულება: 1 531,0 ათასი ევრო, 3 327,9 ათასი ლარი.

წარმოდგენილია 2005 წლის 6 ოქტომბრით დათარიღებული სამმხრივი მიღება-ჩაბარების აქტი საქონლის ნაწილის მიღებაზე და 2006 წლის 21 დეკემბრით დათარიღებული ასევე სამმხრივი მიღება-ჩაბარების აქტის ასლი, რომლის თანახმადაც ფონდმა გადასცა, ხოლო დაწესებულებამ მიიღო მომწოდებლის მიერ მოწოდებული სამედიცინო და საოფისე ავეჯი, რომლის ღირებულება შეადგენს 3 074,7 ათასი ლარს. აქტს თან არ ერთვ ის შესა ბამისი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზ ედნადები, საქონლის ჩამონათვალი), რის გამოც ვერ მოხერხდა მოწოდებული საქონლისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ურთიერთშედარება.

საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებამ შეადგინა 434 დღე, რისთვისაც პირგასამტეხლოს უსდა შეედგინა 1 334,4 ათასი ლარი. საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნით, ცენტრმა სამედიცინო დაწესებულებიდან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. საბოლოოდ, წარმოდგენილი იქნა საბაჟო დეკლარაციები და „ინვოისები", რომელთა მიხედვითაც 2005 წლის 5 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს საბაჟო ტერიტორია გადმოკვეთა 1 128,2 ათასი ევროს საერთო ღირებულების ტვირთმა, რაც სახელშეკრულებო ფასზე 257,2 ათასი ევროთი ნაკლებია. ამასთან, 3 ნოემბრის მდგომარეობით უკვე ადგილი ჰქონდა 21 დღის ვადაგადაცილებას. ვერ იქნა წარმოდგენილი დანარჩენი საქონლის, თუნდაც საბაჟო ტერიტორიის გადმოკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილია ასევე, შპს „ჯი-ემ-ესის" და სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი მიღებული ინვენტარისა და აპარატურის ჩამონათვალი და რაოდენობები, რომელიც ემთხვევა სატენდერო წინადადების დანართის ანალოგიურ მონაცემებს (ღირებულებები არ არის მითითებული).

ხელშეკრულება: N სრფ-75/06 (15.12.2006).

შემსრულებელი: შპს „მტ".

ხელშეკრულების საგანი: ონკოლოგიური ბრაქითერაპიის სათავსოების სარემონტო სამუშაოები.

ღირებულება: 49,0 ათასი ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ ობიექტი ექვემდებარებოდა გასხვისებას, რაც ცნობილი იყო ფონდისათვის, ცენტრის ხელმძღვანელობის წერილისა[54] და მასზე მინისტრის

[54] N38 (07.03.2007)

რეხილუციის საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდგომ, ჩატარდა და ანაზღაურდა 36,9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. აღნიშნულ სამუშაოებზე დამატებითი შეთანხმება და დეფექტური აქტი არ შედგენილა.

სულ, 2004-2007 წლებში დადებული ხელშეკრულებებიდან პირგასამტეხლოს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართულია 640,4 ათასი ლარი (9 კომპანია, 13 ხელშეკრულება). სანქციების ამოქმედება დაწყებულია 2007 წლის ბოლოდან.

პირგასამტეხლოებზე სასამართლოებში გასაჩივრებული საქმეების ჯამური ოდენობა შეადგენს 1 982,9 ათასი ლარს (8 კომპანია, 10 ხელშეკრულება). აქედან, 5 შემთხვევაში დასრულებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომები და კომპანიებს დაეკისრათ სრული გადახდა, ერთი სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში, 2 საქმეზე მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები.

დასკვნა

1. 2006 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 42 676,5 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია სამართლებრივი აქტით წინასწარ დამტკიცებული პროგრამის (საფუძვლების) გარეშე. პროგრამა დამტკიცდა 2006 წლის 18 დეკემბერს და მასში ასახვა ჰპოვა იმ აქტივობებმა შესაბამისი ბიუჯეტებით, რომლებიც ამ პერიოდისათვის იყო დაფინანსებული. ამდენად, პროგრამის დამტკიცება, სწორედ ამ აქტივობებისა და ხარჯების სამართლებრივად გამყარებას ისახავდა მიზნად;

2. ფონდის მიერ არამიზნობრივად გაწეულია 425,3 ათასი ლარის ხარჯი. კერძოდ:

- 2005 წელს, საგრანტო ხელშეკრულებით მიღებული სახსრების ფარგლებში წარმოშობილი 250,7 ათასი ლარის ოდენობის ეკონომია მიიმართა შპს "ბლოკ-ჯორჯიას" მიერ დამატებითი სამუშაოების ჩატარებაზე გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად;
- 2006 წელს, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიღებული სახსრებიდან 59,1 ათასი ლარი მიიმართა დევნილთა სოციალურ დახმარებაზე, ხოლო 115,5 ათასი ლარი - მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად (სამშენებლო სამუშაოები);

3. 2007 წელს, დამტკიცებული პროგრამით გაუთვალისწინებელ აქტივობებზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულია 1 087,2 ათასი ლარის ხარჯი;

4. 2006 წლის 24 თებერვალს რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად ცნობილი იქნა შპს „ბლოკ-ჯორჯია", რომლის სატენდერო წინადადების ფასი 2 590,8 ათასი ლარით აღემატებოდა ტენდერში მონაწილე შპს „ელიმპის" სატენდერო წინადადების ფასს. რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა 2 590,8 ათასი ლარის ოდენობის პირდაპირი ზარალი.

5. 2004-2006 წლებსა და 2007 წლის ნოემბრამდე პერიოდში, მომწოდებლების (შემსრულებლები) მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით არ ამოქმედებულა ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე არ იქნა მიმართული დაახლოებით 3,2 მლნ ლარი

6. 2005 წლიდან 2007 წლის ნოემბრამდე პერიოდში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა უგულებელყოფით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შედგენა-გაფორმების გარეშე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი შეადგენს დაახლოებით **8,4** მლნ ლარს, მათ შორის:

- შპს „ბლოკ-ჯორჯია" – **2 807,1** ათასი ლარი;
- შპს „მესჯიოღლუ ინშაათ სანაი ვე თიჯარეთ" წარმომადგენლობა საქართველოში – **4 134,6** ათასი ლარი;
- შპს „ორელი" – **570,6** ათასი ლარი
- შპს „თეგითინა" – **372,7** ათასი ლარი;
- შპს „ბაჰა" – **209,8** ათასი ლარი;

7. 2004-2007 წლებში დამატებითი სამუშაოების დირექტულებების სახით, სამართლებრივი საფუძვლების გაფორმების გარეშე, შპს „ბლოკ-ჯორჯიასათვის" გადახდილია **2 208,3** ათასი ლარი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი სამუშაოების დაფინანსებაზე, ასევე ჩეხეთის რესპუბლიკაში თანხის გადარიცხვის შესახებ წარმოდგენილი, შპს „ბლოკ-ჯორჯიას" წერილების მიღება არ არის რეგისტრირებული არც სამინისტროს და არც ფონდის კანცელარიებში და გადაწყვეტილებები მიღებულია ამ წერილებზე არსებული სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დადებითი შინაარსის რეზოლუციების სახით.

8. **აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა.პარუნაშვილი - აუდიტორი		ხელმოწერა თარიღი 08.01.2013
ლ.სეხნიაშვილი - აუდიტორი	ლ.სეხნიაშვილი	ხელმოწერა თარიღი 08.01.13